საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

# ბრძანება

ქ. თბილისი

N 850-03
02/05/2023

**,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტიპენდიატთა შერჩევის კრიტერიუმებისა და რაოდენობების დამტკიცების შესახებ" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის N3239-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 9 თებერვლის N150909 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 27 აპრილის №466020 ბრძანების საფუძველზე, რექტორის N854-02, 21/04/2023 ბრძანების გათვალისწინებით,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. შევიდეს ცვლილება ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტიპენდიატთა შერჩევის კრიტერიუმებისა და რაოდენობების დამტკიცების შესახებ" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის N3239-03 ბრძანებაში, კერძოდ, შევიდეს ცვლილება:

ა) ბრძანების 1-ლ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,1. ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში, ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩარიცხულ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა შორის სტიპენდიანტთა შერჩევა განხორციელდეს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრების შედეგების მიხედვით."

ბ) ბრძანების 2.2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

2.2 რეიტინგული პრინციპი დგინდება თითოეული ფაკულტეტისთვის/სკოლისთვის და რაოდენობრივად ნაწილდება უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო,

დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები (რომლებზეც „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლის თანახმად, გაცემულია პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი ან/და აღნიშნულ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის საფუძველზე მინიჭებული აქვს პირადი ნომერი) აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობისა და ფაკულტეტზე არსებული სტუდენტების პროპორციულად. რეიტინგში არ მონაწილეობენ ამ პუნქტში მითითებული კატეგორიებიდან ის სტუდენტები, რომლებსაც წინა სემესტრში მიღებული აქვთ 30 კრედიტზე ნაკლები და პასიური/სტატუსშეჩერებული სტუდენტები.“

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 27 აპრილის №466020 ბრძანების ფარგლებში დაფინანსებული ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩარიცხული სტუდენტები 2023 წელს სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნებიან მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის, ივლისის, ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში.
3. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანებით გათვალიწინებული ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება.
4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს/სკოლას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, არგუსის ადმინისტრატორს ცენტრალურ დონეზე ირინა ბაზღაძეს.

გიორგი გვალია

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი